Silk Home მომსახურების პირობები

ამ პირობების დადასტურებამდე სრულად უნდა გაეცნოთ მის შინაარსს და თითოეულ პირობას, განსაკუთრებით იმ მუხლებს, რომლითაც გათვალისწინებულია შეზღუდვები ან/და გამონაკლისები. ასეთი მუხლები მოცემულია მუქი შრიფტით ან სხვაგვარად არის გამოყოფილი ყურადღების მისაქცევად.

ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით ნებისმიერი კითხვის ან/და ბუნდოვნების შემთხვევაში, მიმართეთ სს „სილქნეტს“ (შემდგომში: „კომპანიას“).

თქვენ არ ხართ უფლებამოსილი, ისარგებლოთ სერვისით (განმარტებულია პუნქტში I.1.2.), თუ არ გაეცნობით და დაეთანხმებით წინამდებარე პირობებს, სხვა შეთანხმებებს, წესების, პირობებსა და სხვ.

მას შემდეგ, რაც მონიშნავთ გრაფას „ვეთანხმები და ვადასტურებ პირობებს“ (დეტალური ფორმულირება იხ. რეგისტრაციის გვერდზე) და გაივლით რეგისტრაციის პროცედურას, ან რაიმე გზით დაიწყებთ სერვისით სარგებლობას, მიიჩნევა, რომ თქვენ წაიკითხეთ და ეთანხმებით ამ პირობებს და ზემოთ აღნიშნულ სხვა წესებს.

თქვენ მიერ პირობების ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში, „კომპანიას“ აქვს უფლება ცალმხრივად შეგიზღუდოთ „სერვისზე“ წვდომა, შეაჩეროს ან შეწყვიტოს „სერვისის“ მიწოდება. ამასთან, „კომპანია“ დამატებით უფლებამოსილია გამოიკვლიოს დარღვევა თქვენი პასუხისმგებლობების დადგენის მიზნით.

წინამდებარე მომსახურების პირობები (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „პირობები“) წარმოადგენს ხელშეკრულებას თქვენსა და „კომპანიას“ შორის. „პირობები“ მოიცავს, მათ შორის და არამხოლოდ, Silk Home აპლიკაციის პერსონალურ მონაცემთა დაცვის განაცხადსა და სხვა წესებს.

„პირობების“ ცვლილების შესახებ, „კომპანია“ გაცნობებთ Silk Home აპლიკაციის საშუალებით, სხვა დამატებითი შეტყობინების გარეშე. აპლიკაციის მეშვეობით შეტყობინების შემდეგ, ცვლილება ავტომატურად, დამატებითი შეტყობინების ან თქვენი თანხმობის გარეშე ხდება „პირობების“ განუყოფელი ნაწილი.

თუ არ ეთანხმებით შესაბამის ცვლილებას, ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ შეწყვიტოთ „სერვისით“ სარგებლობა. თუ ცვლილების შემდეგ განაგრძობთ „სერვისის“ გამოყენებას მიიჩნევა, რომ თქვენ ეთანხმებით ცვლილებას და ადასტურებთ, რომ დაიცავთ მათ.

I. ტერმინთა განმარტება

1.1. ლიცენზირებული აპლიკაცია/აპლიკაცია - „კომპანიის“ მიერ მოწოდებული პროგრამული უზრუნველყოფა სახელწოდებით Silk Home, რომელიც ჩატვირთული და დაყენებულია შესაბამის მობილურ ტერმინალურ მოწყობილობაში.

1.2. პროდუქტი/სერვისი/სერვისები/ - „კომპანიისა“ და მისი მომწოდებლების/ქვეკონტრაქტორების მიერ თქვენთვის შემოთავაზებული მომსახურებები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია მობილური აპლიკაციის საშუალებით, მობილური ტერმინალური მოწყობილობის გამოყენებით.

II. სერვისი

2.1. „კომპანია“ გთავაზობთ ჭკვიანი მოწყობილობის დისტანციური მართვის სერვისებს, რომლის საფუძველზეც თქვენ შეგიძლიათ დაუკავშირდეთ და მართოთ ჭკვიანი მოწყობილობები „კომპანიისა“ და მისი ქვე-კონტრაქტორების ჭკვიანი პლატფორმის გამოყენებით, მათ შორის, დაამყაროს კავშირი ამ ჭკვიან მოწყობილობებს შორის. „სერვისი“ მოიცავს: ჭკვიანი მოწყობილობების მართვას, მათ შორის კავშირის დამყარებას, ანალიტიკური ანგარიშების მომზადებას და ა.შ. ფუნქციონალის ოპტიმიზაცია ან მოდიფიცირება მომხმარებელთა მოთხოვნებით ან მომსახურების მიმწოდებლის გადაწყვეტილებით. გარდა ამისა, „სერვისის“ მიწოდება შესაძლოა დროებით შეჩერდეს დაგეგმილი და დაუგეგმავი ტექნიკური მხარდაჭერის გაწევის მიზნით.

III. სერვისის ფარგლები

3.1. „კომპანია“ გადმოგცემთ „აპლიკაციის“ მეშვეობით პროდუქტით სარგებლობის უფლებას.

3.2. თქვენ გეკრძალებათ და არ გაქვთ პროდუქტით სარგებლობის უფლების სხვა პირისათვის მიყიდვის, დროებით სარგებლობაში გადაცემის, ქველიცენზირების, რაიმე ფორმით გადაცემის ან წვდომის მიცემის უფლება, ან პროდუქტის სხვა კომერციული მიზნით გამოყენების უფლება.

3.3. „აპლიკაციის“ ადაპტაციის პლატფორმასა და ტერმინალებზე დაწესებული შეზღუდვების გამო, „ლიცენზირებული აპლიკაციის“ გამოყენება შეგიძლიათ მხოლოდ ავტორიზებულ სისტემურ პლატფორმაზე და ტერმინალურ მოწყობილობაზე; თუ „ლიცენზირებულ აპლიკაციას“ დაინსტალირებით სხვა ტერმინალურ მოწყობილობაზე, ამან შეიძლება დააზიანოს თქვენი აპარატურა ან პროგრამული ფუნქციონალი.

3.4. თქვენთვის ცნობილია და ადასტურებთ, რომ „აპლიკაცია“ შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ არაკომერციული/პირადი მიზნებისთვის. დაუშვებელია აპლიკაციის კომერციული მიზნით ინსტალაცია, გამოყენება და გაშვება. თუ მომხმარებელს „აპლიკაცია“ სჭირდება კომერციული მიზნით, იგი ვალდებულია „კომპანიისგან“ მიიღოს წინასწარი წერილობითი ნებართვა.

3.5. „კომპანიამ“ და მისმა ქვეკონტრაქტორებმა შესაძლოა პერიოდულად განახორციელონ „აპლიკაციის“ ცვლილება, განახლება, გადატანა, მოდიფიცირება ან შესაბამისი ფუნქციებისა და სერვისების დამატება. თუ ზემოაღნიშნულ ახალ ფუნქციებს ან/და სერვისებს არ ერთვის დამატებითი პირობები, თქვენ უფლებამოსილი ხართ, ისარგებლოთ შესაბამისი ახალი ფუნქციებითა და სერვისებით და მათზე გავრცელდება წინამდებარე „პირობები“.

3.6. თქვენ პასუხისმგებელი ხართ „აპლიკაციაში“ შეყვანილი მონაცემების სისწორეზე, მთლიანობასა და მართლზომიერებაზე, ასევე აღნიშნული მონაცემების მოპოვების კანონიერებაზე. თქვენ პერიოდულად უნდა განხორციელოთ მონაცემებისა და ინფორმაციის სარეზერვო ასლების შექმნა. თქვენ გეკისრებათ ყველა რისკს ასეთი ინფორმაციის დაზიანებისა და დაკარგვისთვის.

3.7. თქვენ ვალდებული ხართ, სათანადოდ შეინახოთ თქვენი ანგარიშის ნომერი და პაროლი. მომხმარებლის ანგარიშის უსაფრთხოების ნებისმიერი ხარვეზის შემთხვევაში (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, მომხმარებლის პაროლის გამჟღავნება), თქვენ დროულად უნდა აცნობოთ „კომპანიას“ აღნიშნულის შესახებ, რომელიც შესაბამისი ზომების მიღებაში დაგეხმარებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მომხმარებლის ანგარიშთან დაკავშირებული ყველა ქმედება ჩაითვლება თქვენ მიერ შესრულებულად და სრული პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ თქვენ.

IV. მესამე პირები

4.1. თქვენ აცნობიერებთ, რომ „კომპანიის“ გარკვეული „სერვისები“ ეფუძნება მესამე პირის მიერ მოწოდებულ პროგრამულ უზრუნველყოფას ან სერვისებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება „აპლიკაციით“ სარგებლობის უზრუნველყოფა. „კომპანიას“ მოპოვებული აქვს შესაბამისი ნებართვები მესამე პირებისაგან.

4.2. თქვენ აცნობიერებთ, რომ ეს პროდუქტი მოიცავს მესამე პირების ინფორმაციასა და სერვისებს. „კომპანია“ და მისი მომწოდებლები/ქვე-კონტრაქტორეიბ არ აკონტროლებენ ამ მესამე პირებს და არ არის პასუხისმგებელი მესამე პირების ინფორმაციასა და სერვისებზე.

4.3. თქვენთვის ცნობილია, რომ „კომპანია“ და მისი მომწოდებლები/ქვე-კონტრაქტორები არ იძლევიან გარანტიას, რომ „აპლიკაციაში“ ყოველთვის იქნება ასეთ სერვისები, ან მომავალშიც გამოყენებული იქნება იმავე მესამე პირის მიერ მოწოდებული სხვა პროგრამული უზრუნველყოფა. ასევე, შესაძლოა „კომპანიამ“ გამოიყენოს სხვა მესამე პირების მიერ მოწოდებული მსგავსი სერვისები. გამოყენების შემთხვევაში, აღნიშნულ პროგრამული უზრუნველყოფაზე ან სერვისზე გავრცელდება წინამდებარე „პირობები“.

V. სერვისით სარგებლობის პირობები

5.1. თქვენ მიერ „აპლიკაციის“ გამოყენება უნდა მოხდეს ჩვეულებრივი მოხმარების მიზნითა და ფარგლებში. „აპლიკაციის“ შემდეგი გამოყენება მიიჩნევა „აპლიკაციის“ სტანდარტების დარღვევად:

1. კომპიუტერული ვირუსების, დამაზიანებელი ან/და მავნე კოდების (worms and/or malicious codes) ან პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება/გაშვება, რომელიც მიზანმიმართულად აზიანებს ან/და ცვლის კომპიუტერულ სისტემას ან მონაცემებს;
2. ნებართვის გარეშე სხვა მომხმარებლების ინფორმაციის ან მონაცემების (მაგ.: ელ. ფოსტის მისამართი და სხვა) შეგროვება/დამუშავება;
3. პროდუქტის ავტომატური გზით იმგვარი მავნე გამოყენება, რაც იწვევს სერვერის გადატვირთვას, ან სხვა ფორმებით იწვევს ვებ სერვერისა და ქსელური კავშირების დაზიანებას, ხელშეშლას.
4. არა ავტორიზებული გზით/შესაბამისი ნებართვის გარეშე პროდუქტის სერვერის მონაცემებზე ან საკომუნიკაციო მონაცემებზე წვდომის მოპოვების მცდელობა;
5. სხვა მომხმარებლების მიერ აპლიკაციის გამოყენების ხელშეშლა ან დაზიანება.

5.2. თქვენ აცნობიერებთ და ეთანხმებით, რომ:

1. „კომპანია“ თავად განსაზღვრავს, ჰქონდა თუ არა ადგილი თქვენ მიერ ზემოხსენებული სტანდარტების დარღვევას და შესაბამისად, მან შესაძლოა შეაჩეროს ან შეწყვიტოს თქვენი ლიცენზიის/ „აპლიკაციით“ სარგებლობის უფლების მოქმედება ან „კომპანია“ მიმართავს თქვენს შორის არსებული შეთანხმებებით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.
2. „კომპანია“ წაშლის იმ ინფორმაციას, რომელიც არღვევს მოქმედ კანონმდებლობას, ან ხელყოფს სხვების კანონიერ უფლებებს, ან არღვევს წინამდებარე „პირობებს“.
3. თქვენ მიერ „აპლიკაციით“ სარგებლობის სტანდარტ(ებ)ის დარღვევით გამოწვეულ, მესამე პირისთვის მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებლობა სრულად გეკისრებათ მხოლოდ თქვენ. ამასთან, თქვენ დაიცავთ „კომპანიას“ ყოველგვარი ზიანის/ზარალისგან ან დამატებით ხარჯებისგან და

აუნაზღაურებთ „კომპანიას“ ასეთ ზიანს/ზარალს ან/და ხარჯებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, „კომპანია“ უფლებამოსილია მოითხოვოს შესაბამისი კომპენსაცია.

4. თუ „კომპანიას“ მიადგა რაიმე სახის ზიანი თქვენ მიერ კანონმდებლობისა ან/და „პირობების“ დარღვევის გამო, თქვენ ვალდებული ხართ აუნაზღაუროთ „კომპანიას“ ყველას ასეთი ზიანი/ზარალი ან/და ხარჯი.

VI. ინფორმაციის შინაარსის სტანდარტი

6.1. თქვენ აცხადებთ და იძლევით გარანტიას, რომ „სერვისის“ გამოყენებით არ განახორციელებთ რაიმე კანონდარღვევას ან არასათანადო ქმედებას/ქცევას; ასეთი ქმედება და ქცევა მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგს:

6.1.1. იმ ინფორმაციის ატვირთვა, გადაცემა ან გაზიარება, რომელიც შეიცავს ერთ-ერთ შემდეგ შინაარსს:

1. ეწინააღმდეგება კონსტიტუციით განსაზღვრული ძირითადი პრინციპებს;
2. სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნა, სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნება, სახელმწიფო ხელისუფლების დამხობა და სახელმწიფო ერთიანობის ხელყოფა;
3. სახელმწიფო ღირსებისა და ინტერესისთვის ზიანის მიყენება;
4. ეროვნული სიძულვილისა და დისკრიმინაციის გაღვივება და ეროვნული ერთიანობის ხელყოფა;
5. შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება, სოციალური წესრიგის დარღვევა და სოციალური სტაბილურობის განადგურება/დაზიანება;
6. უხამსობის, პორნოგრაფიის, აზარტული თამაშების, ძალადობის, მკვლელობისა და ტერორის გავრცელება ან დანაშაულის წაქეზება;
7. სხვების შეურაცხყოფა ან ცილისწამება და სხვების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების ხელყოფა;
8. ყალბი, თაღლითური, მავნე/დამაზიანებელი, მუქარის შემცველი, სხვების კონფიდენციალურობის ხელმყოფი, შევიწროების, ხელყოფის, ცილისწამების, უხეშობის, უწესობის, ან მორალურად ამაზრზენი შინაარსის შემცველი ინფორმაციის შენახვა, გავრცელება ან სხვაგვარი დამუშავება;
9. მოქმედი კანონებით, რეგულაციებით, წესებით, დებულებებით და სხვა სამართლებრივი სტანდარტებით შეზღუდული ან აკრძალული ინფორმაციის შენახვა, გავრცელება ან სხვაგვარი დამუშავება,.

VII. პერსონალური მონაცემების დაცვა

„კომპანიისთვის“ მნიშვნელოვანია მომხმარებლის პერსონალის მონაცემების დაცვის უზრუნველყოფა. „კომპანიას“ შემუშავებული აქვს Silk Home აპლიკაციის პერსონალური მონაცემთა დაცვის განაცხადი, რომელშიც მოცემულია (მათ შორის და არა მხოლოდ) თქვენი ინფორმაციის დაცვასთან, შენახვასთან, დამუშავებასთან, გამოყენებასთან, გაზიარებასა და დაცვასთან, ასევე ამ ინფორმაციასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვასთან დაკავშირებული პირობები. თქვენ სრულად უნდა გაეცნოთ შესაბამის განაცხადს.

VIII. გამონაკლისები

8.1. გარდა კანონით ან მარეგულირებელი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, „კომპანია“ მიიღებს ყველა გონივრულ ზომას, რათა უზრუნველყოს „აპლიკაციისა“, მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის უსაფრთხოება, ვალიდურობა, სიზუსტე და სანდოობა, თუმცა „კომპანია“ ვერ მოგცემთ აღნიშნულის თაობაზე რაიმე გარანტიას, რაც განპირობებულია დღეს არსებული ტექნოლოგიის შეზღუდვებით/ლიმიტაციებით.

8.2. თქვენ აცნობიერებთ და ადასტურებთ, რომ „კომპანიას“ არ აგებს პასუხს ფორს-მაჟორის ან/და მესამე პირ(ებ)ის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პირდაპირ ან არაპირდაპირ ზიანზე.

8.3. თქვენ პასუხისმგებელი ხართ ნებისმიერი პირისათვის განზრახ ან გაუფრთხილებლობით მიყენებულ პირდაპირ ან ირიბ ზიანზე, რომელიც გამოწვეულია ან დაკავშირებულია ერთ-ერთი შემდეგი შემთხვევის შედეგად:

1. მესამე მხარე იყენებს „ლიცენზირებულ აპლიკაციას“ ან ცვლის თქვენს მონაცემებს ნებართვის გარეშე;
2. „ლიცენზირებული აპლიკაციის“ გამოყენების შედეგად წარმოქმნილი ხარჯები და ზარალი;
3. „ლიცენზირებული აპლიკაციის“ არასწორი გაგება/აღქმა თქვენს მიერ;
4. „ლიცენზირებულ აპლიკაციასთან“ დაკავშირებული სხვა ზიანი, რომელიც არ არის გამოწვეული „კომპანიის“ ბრალეულობით.

8.4. ნებისმიერი სხვა ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც არ არის შექმნილი ან/და გამოშვებული „კომპანიის“ მიერ ან/და რომელზეც წვდომა არ არის დაშვებული „კომპანიის“ მიერ, ჩაითვლება უკანონო პროგრამულ უზრუნველყოფად. ასეთი პროგრამული უზრუნველყოფის ჩამოტვირთვამ, და გამოყენებამ შეიძლება წარმოშვას გაუთვალისწინებელი რისკები. „კომპანია“ თავისუფლდება ზემოაღნიშნულის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი პასუხისმგებლობისგან, ზიანისგან ან/და დავებისგან. ამასთან, „კომპანია“ უფლებას იტოვებს შეაჩეროს ან გააუქმოს/შეწყვიტოს „აპლიკაციის“ ლიცენზია/სარგებლობის უფლება ან/და ყველა სხვა „სერვისი“/მომსახურება.

8.5. თქვენ აცნობიერებთ და ადასტურებთ, რომ „კომპანიის“ და მისი მიმწოდებლის „აპლიკაციით“ მოგეწოდებათ ინტერნეტის მეშვეობით, რომელზეც შეიძლება გავლენა იქონიოს კავშირის დროს სხვადასხვა არასტაბილურმა ფაქტორებმა. მიუხედავად იმისა, რომ „კომპანიას“ მიღებული აქვს სათანადო ზომები, „სერვისი“ შეიძლება შეიზღუდოს, შეჩერდეს, შეწყდეს, დაყოვნდეს, განიცადოს პროგრამული შეზღუდვა ან პროგრამული ჩავარდნა, რაც გამოწვეულია ინტერნეტისა და ელექტრონული კომუნიკაციებისათვის თანდაყოლილი ხარვეზებით ან ხელშეკრულების მხარეთა კონტროლს მიღმა არსებული გარემოებებით (ასეთი გარემოებები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ხანძრით, წყალდიდობით, ტერორისტული აქტით, ეპიდემიით, სტიქიური უბედურებებით, აჯანყებებით, ტერმინალური ვირუსით, ჰაკერული შეტევით, ქსელის ხარვეზით და ტერმინალური მოწყობილობის ბრალით). თქვენ ადასტურებთ და იღებთ ზემოაღნიშნულ რისკებს და თანხმობას აცხადებთ, რომ „კომპანია“ თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, იმ შემთხვევაში თუ „სერვისების“/ „აპლიკაციის“ ნორმალურ ფუნქციონირებაზე გავლენას ახდენს ზემოხსენებული რისკები.

IX. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა და დარღვევა

9.1. თქვენ აცნობიერებთ, რომ „აპლიკაცია“ უნდა გამოიყენოს ნებადართულ ფარგლებში, პატივი უნდა სცეთ და დაიცვათ „აპლიკაციისა“ და მისი კონტენტის ინტელექტუალურ საკუთრება, შეასრულოთ ვალდებულებები „პირობების“ შესაბამისად „კომპანიის“ სერვისებით სარგებლობისას. „კომპანიამ“

შესაძლოა შეგიწყვიტოთ „აპლიკაციით“ სარგებლობის ლიცენზია/უფლება, თუ თქვენ „პირობებს“ არსებითად დაარღვევთ.

9.2. „აპლიკაცია“ იყენებს „კომპანიის“ მომწოდებლების/ქვეკონტრაქტორების დამხმარე სერვისებს. თქვენ მიერ „კომპანიის“ ან/და ქვეკონტრაქტორების პირობების, შეთანხმებების, წესების, განცხადებებისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების დარღვევის გამო თქვენ შესაძლოა ვეღარ შეძლოთ „აპლიკაციით“ ჩვეულებრივი სარგებლობა. ასეთი დარღვევის შემთხვევაში, „კომპანიას“ უფლება აქვს შეგიჩეროთ ან შეწყვიტოს „აპლიკაციის“ ლიცენზია/ „აპლიკაციით“ სარგებლობის უფლება, ან მიიღოს სხვა ზომები.

9.3. ამ „პირობების“ ან „კომპანიასთან“ გაფორმებული სხვა შეთანხმებების დარღვევის შემთხვევაში, „კომპანიასა“ და მის მომწოდებლებს/ქვეკონტრაქტორებს უფლება აქვთ აცნობონ მათთან დაკავშირებულ კომპანიებს, მოითხოვონ მათგან თქვენი უფლებებისა და ინტერესების შემზღუდავი ზომების მიღება, მათ შორის დაკავშირებული კომპანიებისგან თქვენთვის სერვისის ნაწილობრივ ან მთლიანად შეჩერება ან შეწყვეტა, და თქვენ მიერ შესაბამისი ხელშეკრულების დარღვევის შესახებ ინფორმაციის მათ ან მათ მიერ ფაქტობრივად კონტროლირებად ვებსაიტებზე.

9.4. „ლიცენზირებული აპლიკაციის“ ჩამოტვირთვა ხდება ჩამოტვირთვის პლატფორმიდან და თქვენ ვალდებული ხართ დაიცვათ ჩამოტვირთვის პლატფორმის, სისტემის პლატფორმისა და ტერმინალური მოწყობილობის მწარმოებლის მიერ დადგენილი წესები „აპლიკაციის“ გამოყენებასთან და დაწესებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით. თუ ზემოხსენებული მესამე პირი დაადასტურებს, რომ თქვენ არღვევთ შესაბამის წესებს და „კომპანიისა“ და მისი მომწოდებლის მოქმედებაა საჭირო, აღიშნული მესამე პირის მოთხოვნის შემთხვევაში „კომპანიამ“ შეიძლება შეგიწყვიტოთ „აპლიკაციით“ სარგებლობის ლიცენზია/უფლება მესამე მხარის მოთხოვნის საფუძველზე.

9.5. როდესაც შეწყდება ლიცენზია თქვენ უნდა შეწყვიტოთ „აპლიკაციით“ სარგებლობა და ამასთანავე გაანადგუროთ მისი ყველა ასლი.

9.6. თქვენ გეკისრებათ ყოველგვარი ზიანის კომპენსაციის ვალდებულება, თუ „კომპანიას“ ან მომხმარებელს მიადგა/ადგება ზიანი თქვენ მიერ „პირობების“ დარღვევის გამო.

X. მოქმედი კანონმდებლობა და ნაწილობრივ ბათილად ცნობა

10.1. წინამდებარე „პირობების“ აღსრულება, განმარტება/ინტერპრეტაცია, ცვლილება, შესრულება და დავების გადაწყვეტა მოხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. თუ არ არსებობს შესაბამისი კანონები და რეგულაციები, გამოიყენება საერთო საერთაშორისო ბიზნეს პრაქტიკა ან/და ამ სფეროსთვის დამახასიათებელი პრაქტიკა.

10.2. წინამდებარე „პირობებიდან“ გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული დავა მხარეთა შორის მოგვარდება მეგობრული მოლაპარაკებების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს შესაბამისი განსჯადობის მქონე საქართველოს სასამართლო.

10.3. სასამართლოს მიერ ხელშეკრულების რომელიმე პირობის ბათილად ცნობა, გავლენას არ მოახდენს სხვა პირობების ან მათი ნებისმიერი ნაწილის ნამდვილობაზე და შესაბამისად მხარეები კეთილსინდისიერად შეასრულებენ მოქმედ/ძალაში მყოფ პირობებს.